პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 172 (12684)

ოთხშაბათი, 24 ივლისი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

23 ივლისი ᲕᲚᲐᲜᲯᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

მახარაძის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეები ივლისში ყოველდღიურად ტონობით მეტ ჩაის ფოთოლს კრეფენ, ვიდრე შარშან. მაგალითად, 22 ივლისს მოიკრიფა 379 ტონა, შარშან ამავე დღეს — 102 ტონა.

საწარმოო სამმართველოში სეზონის დაწყებიდან სულ მოკრეფილია 27.576 ტონა ჩაის ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულებულია 73,3 პროცენტით; ივლისში სულ მოკრეფილია 6.458 ტონა ანუ შარშანდელთან შედარებით 435 ტონით მეტი. მეჩაიეები დღითიდღე აძლიერებენ კრეფის ტემპს, რათა ამ გადამწყვეტ პერიოდში მოიპოვონ ახალი წარმატება.

ბევრმა მეჩაიემ წარმატებით შეასრულა წლიური გეგმა და ახლა ვალდებულების ანგარიშში კრეფს. სოფელ გურიანთის კოლმეურნეობის წევრმა თამარ შეწირულმა უკვე მოკრიფა 4.536 კილოგრამი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.500 კილოგრამისა. ჯუმათელმა ნაზი ჩაველეშვილმა მოკრიფა 4.330 კილოგრამი, წლიური გეგმა კი 4.100 კილოგრამს ითვალისწინებდა. ჩაისუბნის კოლმეურნეობაში თამარ გიგიაძემ მოკრიფა 2.500 კილოგრამი და ამით წლიურ დავალებას 300 კილოგრამით გადააჭარბა.

გუშინ ცხაკაიას საწარმოო სამმართველო! პარტიული კომიტეტი! მდივანმა ამხ. ნ. შონია გვაცნობა, რომ საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა 21 ივლისისათვის **გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა.** მოკრეფილია 2.147 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 2.130 ტონისა.

აღსანიშნავია, რომ შარშანდელთან შედარებით ჩაის კრეფის მატება 28.298 კილოგრამს შეადგენს. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 7.177 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან 76,1 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ამ წარმატებაში ბევრმა კოლმეურნეობამ ისახელა თავი. **ხაბუმის** ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში შარშანდელთან შედარებით მატება 73 ტონას უდრის, **ნაფიჩხოვოს** მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში — 60 ტონას, **ლეწურწუმეს** კოლმეურნეობაში — 19 ტონას, **ჩხოროწყუს** ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში—4 ტონაზე მეტს.

საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა მტკიცედ **გადაწყვიტეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 15-20 აგვისტოსათვის შეასრულონ.**

* * *

წყალტუბო. (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა **ვადამდე შეასრულეს ჩაის კრეფის ოთხი თვის გეგმა.** სულ მოკრიფეს 5.248 ტონა „მწვანე ოქრო“ და წლიური დავალება 20 ივლისისათვის შეასრულეს 83,3 პროცენტით, ხოლო ოთხი თვისა — 113,2 პროცენტით.

ივლისის გეგმით გათვალისწინებული 1.385 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 1.417 ტონა. წლიური გეგმები შეასრულეს ახალსოფლის, მუხურის, საჩხეურის, მექვენის, მუხიანის და ცხუნკურის კოლმეურნეობებმა.

წყალტუბოელებმა ვალდებულება იკისრეს ახალი საჩუქრებით შეხვდნენ საქართველოს კპ XXII ყრილობას და ჩაის კრეფის წლიური გეგმა გაანაღდონ 10 აგვისტოსათვის, წინათ ნაკისრი 1.300 ტონის ნაცვლად გეგმის გადამეტებით მისცენ საშობლოს 1.500 ტონა ჩაის ფოთოლი.

შესრულდა ოთხი თვის გეგმა

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივი განცხადება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მოწვეთით 1963 წლის 10-22 ივლისს საბჭოთა კავშირში მეგობრობის ვიზიტად იმყოფებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგ იანოშ კადარის მეთაურობით.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს აწარმოებდა მოლაპარაკებას, ჰქონდა საუბრები და ეწვია ტაშკენტს, ირკუტსკს, ბრატსკს.

დელეგაცია გაეცნო საბჭოთა კავშირის ცხოვრებას, საბჭოთა ხალხის მიღწევებს, რომელიც უდიდესი შრომითი ალმავლობით წარმატებით ასრულებს კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ პროგრამას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ რომ მიიღო.

დელეგაციის წევრებს მოსკოვში, ტაშკენტში, ირკუტსკსა და ბრატსკში ყოფნის დროს ჰქონდათ შეხვედრები და საუბრები საბჭოთა კავშირის მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან.

ეს შეხვედრები გულითადი და დაუვიწყარი გამოვლინებაა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ძმური მეგობრობისა და სოლიდარობისა, რაც აკავშირებთ საბჭოთა ხალხს და უნგრელ ხალხს, რომლებიც სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ხალხთა მხარ და მხარ იბრძვიან მშვიდობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის.

საბჭოთა კავშირში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ:

— საბჭოთა კავშირის მხრივ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ი. მიკოიანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ბ. ფირიუბინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში გ. ა. დენისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ს. ტ. ასტაფიევი;

— უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე იანოშ კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბელა ბისკუ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლაიოშ ფეხერი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იენე ფოკი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის უდადაბეშტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შანდორ გაშპარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ანდრაშ ბენკეი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ პ

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივი განცხადება

(დასასრული)

საბჭოთა მხარე თავის მხრივ დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სოციალიზმის მშენებლობაში, სახალხო მეურნეობის განვითარებაში, თავიანთი მორალურ-პოლიტიკური ერთობის განმტკიცებაში.

უნგრელი ხალხის ცხოვრებაში ისტორიული მოვლენა იყო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VIII ყრილობა, რომელმაც ცხადყო პარტიის რიგების ურღვევი ერთიანობა, პარტიის ურყევი ერთგულება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი. ყრილობამ აღნიშნა, რომ უნგრეთში დამთავრდა სოციალისტური საზოგადოების საფუძველთა შექმნა, წამოაყენა სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამა, დასახა ძირითადი ეკონომიური ამოცანები 20 წლისათვის.

ყველა საბჭოთა ადამიანს გულწრფელად ახარებს უნგრელი ხალხის თვალსაჩინო მიღწევები, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ავტორიტეტის განუხრელი ამაღლება, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის მუდმივი განმტკიცება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების სწრაფი პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული განვითარება ადასტურებს იმ მარქსისტულ-ლენინური თეზისის სისწორეს, რომ მეტ-ნაკლებად ერთსა და იმავე დროს, ერთი ისტორიული ეპოქის ფარგლებში, გადავლენ სოციალისტური ქვეყნები კომუნიზმში.

ამ მიზნის მიღწევაში, თითოეული ქვეყნის შინაგანი რესურსებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებასთან ერთად, დიდმნიშვნელოვან ფორს ასრულებს შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების შემდგომი გაღრმავება, რასაც საფუძვლად უდევს წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის შემდგომი გაფართოება, მსოფლიო სოციალისტური ბაზრის შესაძლებლობათა ეფექტიანი გამოყენება.

მხარეები აღნიშნავენ, რომ, სოციალისტური თანამეგობრობის თითოეული ქვეყანა, რომელიც გამოიყენებს ასეთი თანამშრომლობის უპირატესობებს და სავსებით შეინარჩუნებს თავის სუვერენიტეტს, დაეურდნობა არა მარტო საკუთარ ძალებს, არამედ მთელი თანამეგობრობის მხარდაჭერასაც.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ჩარჩოებში ორივე მხარეს საჭიროდ მიაჩნია ითანამშრომლონ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა წევრ ქვეყნებთან და შემდგომ განავითარონ სახალხო სამეურნეო გეგმების კოორდინაცია. აგრეთვე წარმოება და კოლექტიური ეკონომიური თანამშრომლობის სპეციალიზაციის სხვა ფორმები.

მხარეებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს იმით, რომ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის წარმატებით ვითარდება ამ შეთანხმებულთან დებულებათა სულისკვეთებით, რომელიც მოცემულია დეკლარაციასა და განცხადებებში, რომელსაც ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების ბოლოს 1957 და 1958 წლებში. ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ორივე ქვეყნის სრული თანასწორუფლებიანობა და მათი სუვერენიტეტის პატივისცემა.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ წარმატებით ვითარდება ნაყოფიერი და ძმური ეკონომიური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესებს. განუწყვეტლივ იზრდება საქონელბრუნვა ორ ქვეყანას შორის. სსრ კავშირი უნგრეთს აწვდის სამრეწველო ნედლეულს, აგრეთვე ბევრი სახეობის მანქანებსა და მოწყობილობას. საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს უნგრეთს მთელი რიგი სამრეწველო ობიექტებისა და საწარმოების შენებლობაში. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს აწვდის სხვადასხვა პროდუქციას, მათ შორის ქიმიური, კვების და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა კომპლექტურ მოწყობილობას, აგრეთვე სხვა საქონელს.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ ალუმინის წარმოების დარგში იმ ბაზაზე, რომ ერთიან საწარმოო ციკლში გამოიყენონ უნგრული ბოქსიტები და საბჭოთა ელექტროენერგია, ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია მეგობრული ურთიერთობისა, რომელიც თანაბრად ემსახურება ორივე ქვეყნის ინტერესებს. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასურველია კვლავაც დაიდოს ახალი გრძელვადიანი შეთანხმებანი საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტით.

მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მუშამბას, რომელიც ამჟამად წარმოებს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პერსპექტიული სახალხო სამეურნეო გეგმების კოორდინაციისათვის.

აზრთა გაზიარების დროს იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრული ურთიერთობა მეცნიერებისა და კულტურის დარგში, მხარეებმა საჭიროდ ცნეს შემდგომ გაფართოვდეს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ერთმანეთთან გამგზავრება, კინოფილმების, ბეჭდვითი გამოცემების გაცვლა, გაფართოვდეს ურთიერთობა რადიოსა და ტელევიზიის ხაზით, რათა ამით ხელი შეუწყონ იმას, რომ ორივე ქვეყნის ხალხები უფრო ფართოდ გაეცნონ ერთმანეთის ცხოვრებას, გამოიყენონ ერთმანეთის გამოცდილება ყოველდღიურ შემოქმედებითს შრომაში, გაამდიდრონ ერთმანეთის კულტურა.

მხარეები დადებთის შეფასებას აძლევენ ყოველმხრივი კონტაქტების განვითარებას სსრ კავშირისა და უნგრეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოებსა და სასწავლებლებს, დანათესავებულ ქალაქებსა და ოლქებს შორის. კულტურული თანამშრომლობის განვითარებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების საქმეში სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებენ საბჭოთა კავშირ-უნგრეთისა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებანი, რომლებიც ფართო საქმიანობას ეწევიან ორივე ქვეყნის მშრომელთა შორის.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ორივე ქვეყნის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა, რასაც საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპები, განუხრელად გაფართოვდება და განმტკიცდება საბჭოთა ხალხისა და უნგრელი ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალიზმისა და კომუნიზმის ინტერესებისათვის.

II.

მხარეებმა მოლაპარაკების მსვლელობაში ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე. აზრთა გაზიარებამ დაადასტურა, რომ ორივე მხარე ერთნაირად აფასებენ ახლანდელ საერთაშორისო ვითარებას, გადაწყვეტილი აქვთ კვლავაც იბრძოლონ ახალი ომის საშიშროების წინააღმდეგ, მტკიცე მშვიდობისათვის დედამიწაზე. თავიანთ საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ხელმძღვანელობენ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპებით, რაც შეესაბამება ყველა სახელმწიფოს, ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს.

ამ ვითარებაში, როცა სულ უფრო ღრმავდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, როცა სულ უფრო იზრდება სოციალისტური ძალების უპირატესობა იმპერიალიზმის ძალებთან შედარებით და მშვიდობის ძალების უპირატესობა ომის ძალებთან შედარებით, არის რეალური შესაძლებლობა, რომ აღიკვეთოს მსოფლიო თერმოატომური ომი, გამოირიცხოს იგი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან. იმპერიალისტური სახელმწიფოები არ შეიძლება არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ თუ ისინი გაბედავენ და თავს დაატეხენ კაცობრიობას ახალ ომს, მაშინ ეს მხოლოდ დაჩქარებს კაპიტალისტური სისტემის სრულ და საბოლოო დაღუპვას.

ამასთანავე საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ იმპერიალიზმის მტაცებლური ბუნება არ შეცვლილა და ამიტომ ის საშიშროება, რომ ისინი ატეხენ მსოფლიო თერმოატომურ ომს ჯერაც რჩება. იმპერიალისტური წრეები განაგრძობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნებისა და გაძლიერების თავიანთი ძირითადი კურსის განხორციელებას, ხან აქ, ხან იქ პროვოკაციულად იწვევენ საშიშ საერთაშორისო კრიზისებსა და კონფლიქტებს, სულ უფრო აძლიერებენ გაბალებული ატომური შეიარაღების ტემპს. ასეთ პირობებში სოციალისტურმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური სიფხიზლე და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი თავიანთი თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად. საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები დარწმუნებული არიან, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა ასეთი პოლიტიკა საჭირო და სწორია, იგი შეესაბამება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უშიშროების ინტერესებს და ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთი თავიანთ პოლიტიკაში ეყრდნობიან იმ აზრს, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებული მეცადინეობით, ხალხთა აქტიური, მტკიცე ბრძოლით შეძლება მივაღწიოთ საერთაშორისო ვითარების გაუჯობესებას.

მხარეები გადაჭრით გმობენ იმპერიალისტური სახელმწიფოების მოქმედებას იმისათვის, რომ უცხო ქვეყნებში ტერიტორიები, აგრეთვე საზღვაო უზები გადააქციონ ატომურ, რაკეტოდრომებად, და განუხრელად ეცდებიან ხალხთა იმ სამართლიანი მოთხოვნების განხორციელებას, რომ ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში, ბალკანეთსა და ფიდელ-ახლოს ზღვის რაიონში, ბალკანეთისა და დედამიწის სხვა ნაწილებში შეიქმნას რაკეტულ-ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონები.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხებს დიდად აწუხებთ, რომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები განაგრძობენ გამალებულ რაკეტულ-ატომურ შეიარაღებას და. აიღეს რა ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების კურსი, აშუშავებენ ნატოს ფარგლებში გაერთიანებული ატომური ძალების შექმნის გეგმებს. ამ ძალებში დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით, რასაც, კერძოდ, მოწმობს ოტავაში ახლახან გამართული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სხმენის ხელის გადაწყვეტილება, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მთავრობებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ უყოყმანოდ მიაქციონ იმ საშიშ შედეგებს, რაც მოჰყვებოდა ამ გეგმების განხორციელებას, იმას, რომ ატომური იარაღით აღჭურვონ დასავლეთგერმანული მილიტარისტები და რევანშისტები, რომლებმაც ორ მსოფლიო ომში აურაცხელი უბედურება მიაყენეს საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ხალხებს.

ევროპის ხალხები ვერ შეურიგდებიან ბუნდესვერის ატომური შეიარაღების საფრთხეს, რადგან ბუნდესვერი აგრესიის დამკვრელი ძალაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების ხელში, რომლებიც აშკარად აცხადებენ თავიანთ მიზნად გერმანიის ახლანდელი საზღვრების გადასინჯვას და სახავენ მიტლერული გერმანიის მიერ წაგებული ომისათვის რევანშის გეგმას. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ რევანშისტული პოლიტიკა, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები ახორციელებენ, ევროპაში დაძაბულობის ძირითადი მიზეზია. დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ ასეთი პოლიტიკის ყოველგვარ წაქეზებას შეუძლია შეიტანოს მხოლოდ გააძლიეროს საფრთხე ევროპის მშვიდობისა და საყოველთაო მშვიდობისათვის. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს მიაჩნიათ, რომ ამ წლის იანვარში საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების დადება სშიში ნაბიჯია საფრანგეთის გარკვეული წრეებისა, რომლებიც ფრანგი ხალხისა და ევროპის სხვა ქვეყნების ხალხთა ინტერესების წინააღმდეგ დაადგნენ დასავლეთ გერმანიის რევანშისტულ ძალებთან შეთანხმების გზას.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს საჭიროდ მიაჩნიათ ნათლად განაცხადონ: მსოფლიოზე მოსახლეობის ეარაღით დასავლეთ გერმანიის აღჭურვის გეგმები რომ განხორციელდეს, ეს შექმნის ახალ ვითარებას ევროპაში და საჭიროდ გახდის, რომ სოციალისტურმა სახელმწიფოებმა მიიღონ დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი უშიშროების შენარჩუნებას ჭეროვან დონეზე. ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ სოციალისტური სახელმწიფოების ასეთ დაცვის ზომებს გაგებით მოეკიდებოდა ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანა და ხალხი.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ვითარების გაჯანსაღებისათვის ევროპასა და მთელ მსოფლიოში საჭიროა აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება და მოწესრიგდეს ამ საუფლოზე მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში.

ორივე მთავრობა აცხადებს, რომ გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემა უნდა გადაიჭრას და გადაიჭრება კიდეც. ამასთან ისინი მხედველობაში იღებენ, რომ შეესაბამება ამ პრობლემის გადაჭრა დასავლეთის სახელმწიფოებთან შეთანხმებით, თუ ეს უკანასკნელნი მზად იქნებიან ამოქმედონ სადად და ბონიერულად, გათვალისწინებენ რეალურად შექმნილ მდგომარეობას ევროპაში და ორი სუვერენული გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობას. გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საფუძველზე განხორციელდება აგრეთვე მდგომარეობის ნორმალიზაცია დასავლეთ ბერლინში, რომელიც მიიღებს ნეტრალური თავისუფალი ქალაქის სტატუსს. საბჭოთა კავშირის წინადადებანი გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე არ ანელებენ ვიზმეს ცალმხრივ სარგებლობას ან უპირატესობას და სავსებით შეესაბამება მთელი ევროპის უშიშროების ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები სავსებით ერთსულოვანი არიან იმ მხრივ, რომ ეს წინადადებანი კარგი საფუძველია გერმანიის საკითხის მოწესრიგებისათვის, და თავის მხრივ განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გადაჭრას.

ორივე მხარე მოითხოვს „დაუყოვნებლივ გადაიჭრას ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის სამუდამოდ აკრძალვის საკითხი. ატომური იარაღის გამოცდის ასეთი აკრძალვის მოთხოვნას უკვე დიდი ხანია იცავენ საერთაშორისო ასპარეზზე სოციალისტური სახელმწიფოები. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთ კურსს ემყარებიან და სულ უფრო აძლიერებენ გამალებულ ატომურ შეიარაღებას, ჯიუტად უშლიან ხელს ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრას. ამ საკითხზე მოლაპარაკების უსასრულოდ გაჭიანურების საბაბად ისინი აყენებენ მოთხოვნებს, რომ დაწესდეს ეგრეთწოდებული საერთაშორისო ინსპექციები მიწისქვეშა ატომური გამოცდის შეწყვეტისადმი, თუმცა მეცნიერულად დამტკიცებულია და პრაქტიკულად დადასტურებული, რომ არ არის საჭირო ასეთი ინსპექცია და რომ ყოველგვარი ატომური აფეთქების, მათ შორის მიწისქვეშა აფეთქების შეწყვეტისადმი კონტროლისათვის საკმარისია აღმოჩენა ეროვნული საშუალებანი, განსაკუთრებით ავტომატურ სეისმურ სადგურებთან შეხამებით. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა იზიარებს საბჭოთა კავშირის მთავრობის თვალსაზრისს, რომ მოთხოვნები, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები აყენებენ ამ პირობებში საერთაშორისო ინსპექციათა შესახებ, მოწმობენ მხოლოდ ნატოს ქვეყნების გარკვეული წრეების მისწრაფებას შექმნან არხები, რათა სსრ კავშირის ტერიტორიაზე შეაღწიონ ჯაშუშობის მიზნით, რაც არ შეიძლება დაფუძნდეს სწორედ მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა საკუთარი ეთანხმება საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებას, რომ იმ პირობებში, როცა დასავლეთის სახელმწიფოები შეუძლებელს ხდიან შეთანხმების მიღწევას ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის შესახებ, დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ. ასეთი შეთანხმების დაუყოვნებლივ დადება აღმოფხვრის ატმოსფეროს რადიოაქტიური მოწამვლის საშიშროებას, აღკვეთავს საფრთხეს, რომელიც ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობას ემუქრება. ასეთი შეთანხმების დადებისათვის დასავლეთის სახელმწიფოები თვითონაც არ აყენებენ მოთხოვნებს საერთაშორისო ინსპექციათა შესახებ.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ შეთანხმების დადება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ და ამავე დროს თავდაუსმენლობის პაქტის ხელმოწერა ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის, შექმნის ახალ საერთაშორისო ატმოსფეროს, რომელიც უფრო ხელშემწყობი იქნება იმისათვის, რომ გადაიჭრას თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, მათ შორის გერმანიის პრობლემა. ორივე მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ საჭიროა დაიდოს საერთაშორისო ხელშეკრულება სახელმწიფოთა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ და კვლავაც თანამიმდევრულად დაიცავენ ამ პოზიციას. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეა, სავსებით მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებას, რომ დაიდოს თავდაუსმენლობის პაქტი ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის.

მხარეები დიდად აფასებენ კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივნისა და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ამხანაგ ფიდელ კასტროს მეთაურობით, მტკიცე პოზიციას შედეგებს და აღნიშნავენ, რომ ეს ვიზიტი, რომელიც საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა, დიდი წვლილია ამ საქმეში, რომ განმტკიცდეს სოციალისტური ქვეყნების დიდი თანამეგობრობის ერთობა და შეკავშირება მათს ბრძოლაში მშვიდობისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს: იმის მეოხებით, რომ შეუდრეკელი სიმტკიცე და მამაცობა გამოიჩინეს კუბელმა ხალხმა, მისმა მთავრობამ ფიდელ კასტროს მეთაურობით, მტკიცე პოზიცია დაიკავეს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა რევოლუციური კუბის დაცვის საქმეში, აღიკვეთა კუბაზე იმპერიალისტთა შეიარაღებული თავდასხმის უშუალო საფრთხე და მშვიდობიანი გზით მოწესრიგდა მეტად საშიში საერთაშორისო კრიზისი, რომელიც კარიბის ზღვის რაიონში წარმოიშვა და რაკეტულ-ატომური ომის ზღვარზე დააყენა კაცობრიობა. კარიბის ზღვის რაიონში შექმნილი კრიზისის მშვიდობიანმა მოწესრიგებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ იზრდება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ზეიმქმედება მსოფლიო ვითარების განვითარებაზე და ცხადყო, რომ შესაძლებელია, ერთი მხრივ, სოციალისტურ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის მიღწეული იქნას გონივრული ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი სადავო საერთაშორისო პრობლემებზე.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები გადაჭრით გმობენ კოლონიალიზმს, მის ყველა ფორმასა და გამოვლინებას, და კვლავ აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მომავალშიც დაუჭირონ მხარი აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მათს ბრძოლას განთავისუფლებისა და პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, კოლონიალიზმის სამარცხვინო ხასტემის საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ და მთლიანად შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და აცხადებენ, რომ ბრძოლა კოლონიალიზმის ბატონობისაგან ხალხთა რაც შეიძლება მალე და საბოლოო განთავისუფლებისათვის მთელი თავისუფლებისმოყვარე ძალების გადაუდებელი ამოცანაა.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები აღნიშნავენ, რომ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა შეთაურების ადის-აბების კონფერენციას, რომელმაც განიხილა პრობლემები აფრიკის ერთობის განმტკიცებისა, რომლის იდეაც წარმოიშვა ამ კონტინენტის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ და რომელსაც თანგაჩენილი ეკიდება ყველა, ვინც იბრძვის მშვიდობისა და ხალხთა მეგობრული თანამშრომლობისათვის.

ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სამხრეთ კორეის ოკუპაცია ამერიკელთა მიერ, რაც გრძელდება კორეელი ხალხის ნების მიუხედავად, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს შორეულ აღმოსავლეთში და ძირითადი დაბრკოლებაა ეროვნული ერთობის მშვიდობიანი აღდგენის გზაზე. საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები მხარს უჭერენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია კორეის მშვიდობიანი გაერთიანება დემოკრატიულ საწყისებზე გარეგან ჩაურევლად, და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებს კორეელი ხალხი სამხრეთ კორეიდან უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანისა და კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ აგრესიას ვიეტნამის სამხრეთ ნაწილში, სადაც წარმოებს მარბაროსული „გამოუცხადებელი ომი“ ამ ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. მხარეები მტკიცედ მოითხოვენ შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია და განხორციელდეს ეენევის შეთანხმებანი ვიეტნამის გაერთიანების შესახებ, საკვანძო მხარს უჭერენ მამაც ვიეტნამელ ხალხს ბრძოლაში ერთიანი დემოკრატიული ვიეტნამისათვის.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა სოლიდარობას უცხადებენ ლაოსელი ხალხის პროგრესული ძალების ბრძოლას. გმობენ შეერთებული შტატების მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება ეენევის შეთანხმებებს ლაოსის შესახებ, და დახმარებას უწევს რეაქციულ ძალებს ლაოსში. საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ უჭერენ მხარს დამოუკიდებელ და ნეიტრალურ ლაოსს.

მხარეები გადაჭრით გმობენ ერაყის მთავრობის ურჩუკულ პოლიტიკას და სასტიკ დანაშაულებს, მასობრივ სიხსნლიან რეპრესიებს, რომლებიც ხორციელდება ერაყის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და ერაყელი ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის ნამდვილ მებრძოლთა, ერაყელ კომუნისტთა და სხვა პატრიოტთა წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მოითხოვენ შეწყდეს ომი, რომელიც ერაყში დაიწყო ქურთი ხალხის წინააღმდეგ და თავისი ხასიათით გენოციდის აქტია ქურთების მიმართ, რომლებიც სამართლიან ბრძოლას აწარმოებენ თავიანთი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისათვის. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სავსებით მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომელიც გადაჭრით ილაშქრებს ომის წინააღმდეგ, რომ ერაყის სამნიათ საქმეებში ჩაერიონ სენტო-სამხედრო-კოლონიური ბლოკის ქვეყნები და იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ზურგს უმაგრებენ მათ.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს მიაჩნიათ, რომ თავისუფალი, ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო ვაჭრობა თანასწორუფლებიან საფუძველზე და ფართო საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ნდობის ატმოსფეროს შექმნას სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ამიტომ იანგ გმობენ დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედებას, რომელიც „საერთო ბაზრის“ ტიპის დახშულ ეკონომიურ დაჯგუფებათა შექმნის პოლიტიკას ახორციელებენ და თავიანთი მონოპოლიებისა და წმინდის სამხედრო ბლოკის ინტერესებისათვის ახორციელებენ ბაზს, რომ ძირი გამოუთხარონ საერთაშორისო ეკონომიურ თანამშრომლობას და მოახდინონ უხეში დისკრიმინაცია, რაც ეწინააღმდეგება მსოფლიო ვაჭრობის თავისუფლების პრინციპებს. ასეთი დაჯგუფებანი უფიდეს მონოპოლიათა შეთანხმებაა იმ მიზნით, რომ გადააკეთონ ბაზრები იმპერიალისტთა-შორისი შეთანხმებების საფუძველზე და შექმნან პირობები, რომლებიც გააადვილებენ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ეროვნული სიდიდრეთა ძარცვას. ეს დაჯგუფებანი აგრეთვე შედეგია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბურჟუაზიის მისწრაფებისა გაიერთიანოს ძალები სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი დახშული ეკონომიური დაჯგუფებების საქმიანობა გარდუვალად იწვევს დამატებით სიძნელეთა შექმნას მსოფლიო ვაჭრობისა და მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების საქმეში.

ორივე ქვეყნის მთავრობები მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიის გადაწყვეტილებას, რომ მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარებისა საკითხებზე. და ყოველ ღონეს იხმარენ, რომ კონფერენციამ წარმატებით შეასრულოს მის წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები და ხელი შეუწყოს მსოფლიო ვაჭრობის ნორმალიზაციას ყველა სახელმწიფოს შორის თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის პრინციპების საფუძველზე ისე, რომ არ იყოს რაიმე ხელოვნური ბარიერები და დისკრიმინაცია.

მხარეები მოითხოვენ, რომ კონფერენციამ დადებითად განიხილოს გეგმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნისა, რომელიც შეესაბამება ყველა ქვეყნის ინტერესებს, ხელს შეუწყობს მოელი მსოფლიო ვაჭრობის განვითარებას, ვაჭრობის გაფართოებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, სუსტად განვითარებული ქვეყნების ვაჭრობის გაფართოებას და მათ ეკონომიურ განვითარებას.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოზიციას, რომელიც ხელს უშლიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ის, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში არ არიან ჩინეთის წარმომადგენლები, რომელთა ადგილი უბადრუკ ერთ მუჭა ჩანჯაშელთა ნაძირალებს უკავიათ, ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს, აძნელებს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას და ხელს უშლის მის ნორმალურ საქმიანობას. მხარეები აცხადებენ, რომ ისინი კვლავაც ეცდებიან დაუყოვნებლივ აღსდგეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ორივე მთავრობა გმობს იმას, რომ გრძელდება ტაივანის კუნძულის ოკუპაცია ამერიკელთა მიერ, და მხარს უჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მისწრაფებას გათავისუფლოს ეს ტერიტორია, რომელიც ჩინეთის განუყოფელი ნაწილია.

III.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუცვლეს ორივე პარტიის მოღვაწეობა. აზრი გაუზიარეს ერთმანეთს აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ძმური ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარების საკითხებზე. ორივე მხარე აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ძმური თანასწორუფლებიანი ურთიერთობა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის რევოლუციური პრინციპის პრაქტ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადწყვეტილებებს, ახალი წარმატებანი მოიპოვეს განვლილ ნახევარ წელიწადში ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის ვაუმჯობესებისა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებაში.

I. მრეწველობა

საქართველოს სსრ მრეწველობამ, აგრეთვე მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ 1963 წლის პირველი ნახევრის მთლიანი პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ — 105 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ — 99,5 პროცენტით. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა მთლიანად, აგრეთვე მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობისა, 1962 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 9 პროცენტით, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობისა — 10 პროცენტით.

მრეწველობის ცალკეული დარგების წარმოების ზრდა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1963 წლის I ნახევარი პროცენტობით 1962 წლის I ნახევართან შედარებით
შავი მეტალურგია	109
სათბობის მრეწველობა	100,3
ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	102
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	115
ქიმიური მრეწველობა	112
საშენ მასალათა მრეწველობა	111
ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის-დასამუშავებელი მრეწველობა	106
მსუბუქი მრეწველობა	110
აქედან საფეიქრო	114
კვების მრეწველობა	109
აქედან:	
ხორცისა	103
კარაქის, ყველის და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	102
მეღვინეობა	132
ჩაის მრეწველობა	87
თამბაქოს მრეწველობა	115

საერთო პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო სწარმოებმა შეასრულეს 107 პროცენტით, აჭარის ასსრ ტერიტორიაზე — 105 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა — 105 პროცენტით, ქალაქ თბილისში — 103 პროცენტით.

1962 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოებამ შეადგინა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 94 პროცენტი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 101 პროცენტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 111 პროცენტი, ქალაქ თბილისში — 111 პროცენტი.

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების 1963 წლის პირველ ნახევრის გეგმის შესრულება და წარმოების საერთო მოცულობის ზრდა 1962 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივ სამმართველოებსა და ტრესტებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1963 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1963 წლის I ნახევარი 1962 წლის I ნახევართან შედარებით
სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა	105	110
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	103	108
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	105	112
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის სამმართველო	104	128
საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	103	103
ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	101	107
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	101	109
ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველო	96	102
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	111	118
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	104	104
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	99,1	94
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო	83	92
საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	106	102
საქართველოს ნავთობის ტრესტი	109	110
საქართველოს ჩაის ტრესტი	113	87
სამტრესტი	105	131
საქართველოს კონსერვტრესტი	116	109
საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი	111	111
საქართველოს ცხიმეულეთერზეთის მრეწველობის ტრესტი	102	132
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	108	115
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	99,2	102
საქართველოს ტორფის მრეწველობის ტრესტი	72	99,6
მბატარელ ნაწარმთა ტრესტი	109	110

მაგრამ, როცა მთლიანად სახალხო მეურნეობას საბჭოში მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია, გეგმა ვერ შეასრულა მან საწარმომ, ანუ იმ საწარმოთა საერთო რიცხვის 15 პროცენტმა, რომლებმაც ხანელმწიფოს დააკლეს 7,2 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია.

სამინისტროებმა და უწყებებმა მთლიანი პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს 103 პროცენტით; აქედან: ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ — 114 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ — 106 პროცენტით, მშენებლობის სამინისტრომ — 106 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ — 105 პროცენტით, კულტურის სამინისტრომ — 103 პროცენტით, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ — 103 პროცენტით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ — 95 პროცენტით, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ — 90 პროცენტით; რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ" — 162 პროცენტით, ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარმა სამმართველომ — 100,3 პროცენტით.

მრეწველობის ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოება ნატურალური გამოხატულებით მთლიანად რესპუბლიკაში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებული 1963 წლის I ნახევარში	1963 წლის I ნახევარი 1962 წლის I ნახევრის პროცენტი	1963 წლის I ნახევარი 1962 წლის I ნახევართან შედარებით
თიხა — ათასი ტონა	360		93
ფოლადი — ათასი ტონა	632		101
ნაგლინი — ათასი ტონა	476		104
ფოლადის მილები — ათასი ტონა	196		106
კოქსი მთლიანად — ათასი ტონა	309		96
ქვანახშირი — ათასი ტონა	1.359		99
ელექტროენერგია — მილიონი კილოვატსაათი	2.070		104
მანერალური სასუქები — ათასი ტონა	203		118
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	37		112
სატვირთო აეტომობილები — ცალი	4.461		119
ლითონსაკრები ჩარხები — ცალი	2 218		108
კოშკურა ამწეები — ცალი	70		125
ელექტროკარები — ცალი	1,192		120
ტრაქტორის კულტივატორები — ცალი	157		59
სასოფლო-სამეურნეო მანქანები — (უსათაფიგონაწყლებოდ) — ათასი მანეთი	829		181
ცემენტი — ათასი ტონა	630		98
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	28,2		103
აგური — (დამზადარე საწარმოთა და კოლმეურნეობათა წარმოების ჩათვლა) — მილიონი ცალი	150,4		88
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	250		124
ქაღალდი — ათასი ტონა	17		100,8
აგური — მილიონი მანეთი	10,5		106
ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	22		99,5
შალის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	3,4		99,6
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	10,2		112
ზეიდა — მილიონი წყვილი	4,2		102
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	6,5		123
ზეიდა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	1,8		107
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	5,3		102
პიანინოები და როიალები — ცალი	2.112		116

ხორცი I კატეგორიის სუბპროდუქტების ჩათვლით (სამრეწველო გადამუშავება კოოპერაციული მრეწველობის საწარმოების გარდა) — ათასი ტონა 8,3 113
ყველი — ათასი ტონა 4,6 96
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა 8,0 155
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა 21,5 81
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა 11,1 111
მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა 7,7 104
ბირუტყვის ხორცი — ტონა 482 100,6
ჩაი ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული — ათასი ტონა 5,3 108
პაპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი 8,7 132
ყურძნის ღვინო — მილიონი დეკალიტრი 4,4 127
შამპანური — მილიონი ბოთლი 3,5 103
საბონი — ათასი ტონა 9,9 141

წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოება, გეგმის გადამეტებით წარმოებულია: თუჯი — 2,3 ათასი ტონა, ფოლადი — 6,3 ათასი ტონა, ნაგლინი — 10,5 ათასი ტონა, ფოლადის მილები — 8 ათასი ტონა, ქვანახშირი — 12 ათასი ტონა, ელექტროენერგია — 24 მილიონი კილოვატსაათი.

მეტ წილ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია მთლიანად და გადაჭარბებით, მაგრამ გასულ წელთან შედარებით შემცირდა თუჯის, ტრაქტორის კულტივატორების, ცემენტისა და სხვა ნაწარმის წარმოება.

ამასთანავე, მაშინ როცა გასულ წელთან შედარებით გაიზარდა წარმოება, ორ არის შესრულებული მანქანათსაკრები ჩარხების, ხასოფლო-სამეურნეო მანქანების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, წინდის, ტყავის ფეხსაცმლის, ავეჯის, ერმო-კარაქის, უურძნის ღვინის წარმოების გეგმა. სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტმა წილმა სამრეწველო საწარმოებმა შეასრულა ფოლადის სხმულის, ნატვიფრისა და ნაჭედის კოოპერირებული მიწოდების ნახევარი წლის გეგმა. მაგრამ სოციალისტიკურ-საათშორისო მიწოდების გეგმა არ შეესრულებიათ: ფოლადის სხმულისა — თბილისის ფოლადდამუშავებელი ქარხანას (54 პროცენტი) და ნატვიფრისა — ქუთაისის ბ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანას (86 პროცენტი).

მიმდინარე წელს რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკთა კოლექტივები სპეციალიზაცია-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან თანამეგობრობით ახორციელებენ მუშაობას წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფისათვის.

წლის პირველ ნახევარში ხორციელდებოდა ლონისძიებანი საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზებისა და ახალი, უფრო მწარმოებლური მოწყობილობის დანერგვისათვის, ახალი მანქანების შექმნისა და მოძველებული კონსტრუქციის მანქანების წარმოებიდან მოხსნისათვის. ათვისებულია 17 ახალი უმნიშვნელოვანესი ტიპის მანქანის, ხელსაწყოსა და მოწყობილობის წარმოება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესი ხორციელდება გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების აქტიური მონაწილეობით, რომლებმაც განვლილ ნახევარ წელიწადში შეიტანეს 9,4 ათასზე მეტი წინადადება წარმოების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. ამავე ხნის განმავლობაში სახალხო მეურნეობაში დაინერგა 3,3 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც წელიწადზე გადაანგარიშებით 6,5 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა. ამავე დროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებათა ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციას არ შეუსრულებია ახალი ტექნიკას განვითარების საგეგმო დავალებანი, ხელ ნერგავენ სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს.

შრომის ნაყოფიერების ნახევარი წლის გეგმა რესპუბლიკისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს, მრეწველობაში შესრულებულია 104 პროცენტით, 1962 წლის პირველ ნახევართან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდა რესპუბლიკასა და სახალხო მეურნეობის საბჭოში შეადგენს 6 პროცენტს.

შესრულებულია ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების შემცირების 1963 წლის I ნახევრის გეგმა, რომელიც დაწესებული იყო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისათვის.

II. სოფლის მეურნეობა

რესპუბლიკის მეტწილ რაიონებში საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები მიმდინარეობდა არახელსაყრელი ამინდის პირობებში, რის გამოც ჩვეულებრივზე გვიან დაიწყო საგაზაფხულო კულტურების თესვა. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა თესვის დამთავრებაზე აგროტექნიკურ ვადებში.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესი ფართობები, შესაბამისი წლის მოსავლის სრმემოდგომო კულტურების ჩათვლით, ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (ათასი ჰექტარი):

	1962 წელი	1963 წელი
შთელი ნათესი ფართობი	804,5	798,7
აქედან:		
მარცვლეული კულტურები (უსამინდოდ)	253,2	288,6
ბრრბალი	162,9	166,3
სამარცვლე პარკოსნები	23,3	29,2
აქედან:		
ბარდა	13,6	16,7
ლობიო	6,8	10,5
სიმინდი სამარცვლედ, სასილოსედ და მწვანე საკვებად	345,2	318,5
აქედან:		
სრული სიმწიფის სამარცვლე სიმინდი	209,1	259,4
შაქრის ჭარხალი საფაბრიკო	5,4	4,2
პირუტყვის საკვები	6,2	6,6
მზესუმზირა	17,3	17,9
თამბაქო	12,3	13,5
ეთერზეთოვანი კულტურები	2,1	2,2
კარტოფილი	24,0	25,6
ბოსტნეული	21,5	20,7
ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები — სულ	98,3	85,2
მათ შორის გასულ წლებში ნათესი მრავალწლიანი ბალახები	37,0	31,3

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაუმჯობესეს ნათესი ფართობების სტრუქტურა, გაადიდეს დიდპროდუქტიული კულტურების ნათესები, მცირე პროდუქტიული კულტურებისა და მოფუსავი ანეულის ფართობების შემცირების ბეჯითი.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაადიდეს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები. მარცვლეული და სამარცვლე პარკოსნები (უსამინდოდ) დათესილია 276,7 ათას ჰექტარზე ანუ 34,5 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ამასთან სამარცვლე პარკოსნების ნათესები გადიდდა 6,1 ათასი ჰექტარით, მათ შორის ბარდა — 3,2 ათასი ჰექტარით, ლობიო — 3,6 ათასი ჰექტარით, ხორბალი — 2,9 ათასი ჰექტარით. გადიდდა აგრეთვე თამბაქოს, მზესუმზირას, კარტოფილისა და პირუტყვის საკვები შაქრის ჭარხლის ფართობები.

სიმინდი დათესა 252,4 ათასი ჰექტარი ანუ 25,9 ათასი ჰექტარით ნაკლები, ვიდრე გასულ წელს. ამასთან სრული სიმწიფის სამარცვლე სიმინდი დათესეს 50,3 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე ფუძეტიერად აღიეს გასულ წელს.

ხეხილის ბაღები კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1963 წლის 1 ივლისისათვის გააშენეს 4 ათას ჰექტარზე მეტი, ვენახი — 1,6 ათას ჰექტარზე მეტი და ჩაის პლანტაციები — 362 ჰექტარი.

მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის წარმოებულია 55 ათასი ჰექტარით ანუ 4 პროცენტით მეტი სატრაქტორო სამუშაოები, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. 1962 წელთან შედარებით ეკეთ არას წარმოებული საკვების დამზადების სამუშაოები. 1 ივლისისათვის დამზადებულია უხეში საკვები 1,5-ჯერ მეტი, მათ შორის თივა — 2,7-ჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს.

1962 წლის 1 ივლისთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა 10,2 ათასი ხელით, ძროხისა და ფურკამების სულადობა გადიდდა 9 ათასით, ღორისა — 1,2 ათასით, ცხვრისა და თხისა — 111,2 ათასით. მნიშვნელოვნად გადიდდა ფრინველის სულადობა, მათ შორის კვერცხისმდებელი ქათმის სულადობა.

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა ხორცის, კვერცხისა და მატყლის წარმოება. მთლიანი ნაწ�eული 1962 წლის ნახევრისა და მიმდინარე წლის გაკვანძულებულ გაზაფხულთან დაკავშირებულ საკვების სიძნელეთა მიდაგად, რამდენადმე შემცირდა.

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ შეადგინა (ათასი ტონა):

	შესყიდულია 1962 წლის I ნახევარში	შესყიდულია 1963 წლის I ნახევარში	1963 წ. პროცენტობით 1962 წლის შედარებით
პირუტყვი და ფრინველი ნაკლავის წონით	9,6	10,5	109
რძე	74,0	75,9	103
მატყლი	2,3	2,4	104
კვერცხი — მილიონი ცალი	44,8	56,6	126
ხორხლოვანი ჩაის ფოთოლი	93,2	86,8	93
ბოსტნეული	6,9	9,5	138
დაფის ფოთოლი	1,3	1,8	137

1962 წლის I ნახევართან შედარებით ყველა კატეგორიის მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვა გადიდდა 0,9 ათასი ტონა ნაკლავის წონით, რძისა — 18 ათასი ტონით, კვერცხისა — 11,8 მილიონი ცალით, ბოსტნეულისა — 2,6 ათასი ტონით, დაფნის ფოთლისა — 0,5 ათასი ტონით. არახელსაყრელი ამინდის პირობების გამო ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი დამზადებულია ნაკლები, ვიდრე 1962 წლის I ნახევარში, თუმცა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-ივნისის გეგმა 1 ივლისისათვის შესრულდა 102 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულებულია სახელმწიფოსათვის ხორცის, კვერცხისა და მატყლის მიყიდვის წლის პირველი ნახევრის გეგმა.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთზიდვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 102 პროცენტით, ამან შორის ქვანახშირისა — 102 პროცენტით, შავი ლითონებისა — 106 პროცენტით, ყოველგვარი მადნისა — 104 პროცენტით, ხეტყისა — 115 პროცენტით, ნავთობისა — 112 პროცენტით.

საშუალო სადღეღამოსო დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, მაგრამ საშუალო სადღეღამისო გადმტვირთვისა და სატვირთო მატარებლის საუბნო სიჩქარის გეგმა არ შესრულებულა.

1962 წლის I ნახევართან შედარებით ტვირთზიდვა გაიზარდა 6 პროცენტით. საშუალო სადღეღამისო დატვირთვა — 6 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმტვირთვა — 8 პროცენტით.

ერთ ტექნიკურ საფეხურში ვაგონის დგომის საშუალო დროის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია — 109 პროცენტით, ერთ სატვირთო ოპერაციაზე ვაგონის დგომის საშუალო დროის გეგმა — 102 პროცენტით, სატვირთო ვაგონის მრუნვის საშუალო დროის გეგმა — 106 პროცენტით.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა 1963 წლის პირველ ნახევარში გადაზიდა 24 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი, ამასთან შესრულებულია 391 მილიონზე მეტი ტონა-კილომეტრი, ტვირთის გადაზიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით, ტვირთბრუნვისა — 102 პროცენტით. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით ეს ბრუნვა გადაყვანა გაიზარდა 22 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 20 პროცენტით. მაგრამ მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრბრუნვის ნახევარი წლის გეგმა არ შესრულებულა.

მუნიციპალურ ტაქსომოტორებზე ტვირთი, 1962 წლის პირველ ნახევართან შედარებით კი მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 22 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 20 პროცენტით. მაგრამ მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრბრუნვის ნახევარი წლის გეგმა არ შესრულებულა.

მუნიციპალურ ტაქსომოტორებზე ტვირთი, 1962 წლის I ნახევარ, 1962 წლის I ნახევარ, 1962 წლის I ნახევარ, 1962 წლის I ნახევარ

	1962	1962	1962	1962
ბაჭრობის სამინისტრო	93	91	98	94
განათლების სამინისტრო	72	80	85	84
კულტურის სამინისტრო	79	79	102	114
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	72	84	116	114
საქართველოს პროფსაბჭოს კურორტების სამმართველო	73	82	111	125
მეცნიერებათა აკადემია	60	55	133	122
ეთერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო	70	93	62	61
საქართველოს ნავთობის მოძარაგება-გასაღების სამმართველო	62	61	169	158
ადგილობრივი საბჭოები	81	87	109	109

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით კაპიტალური დაბანდება გაიზარდა: შავ მეტალურგიაში — 4 პროცენტით, ფერად მეტალურგიაში — 18 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში — 18 პროცენტით, სამშენებლო ინდუსტრიაში — 26 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 15 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 6 პროცენტით.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულმა საიჯარო ორგანიზაციებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლის პირველი ნახევრის გეგმა საკუთარი ძალებით შეასრულეს 88 პროცენტით და სამუშაოთა მოცულობა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 7 პროცენტით გაადიდეს.

მშენებლობაში შრომის ნაყოფიერება გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 7,5 პროცენტით, მაგრამ ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა და სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულების შემცირების დავალება.

V. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება

საქართველოს სსრ მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვმა წლის პირველ ნახევარში შეადგინა 1.040 ათასი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 30 ათასით გაიზარდა.

საწარმოო დარგებში მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების რიცხვი ამ პერიოდში გაიზარდა 20 ათასზე მეტად; სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებში — 8 ათასით.

გასული ნახევარი წლის განმავლობაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებმა და სკოლებმა მომამზადეს 2,5 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა, რომლებიც საეშაოდ გიგზავნენ სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, მშენებლობაზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაიხსნა ახალი შემნახველი სალარონები. ნახევარი წლის განმავლობაში ანაბრების ნაშთი გადიდდა 15 მილიონ მანეთზე მეტით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ (ამაში არ შედის საშომხმარებლო კოოპერაციის ბრუნვა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვა ადგილობრივი ბაზრების ფასებში) 1963 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 620,2 მეათედი მილიონი მანეთი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით შესადარ ფასებში გადიდდა 15,3 მილიონი მანეთით, ანუ 2,5 პროცენტით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 98 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობის ქსელში — 98 პროცენტით, საზოგადოებრივ კვების ქსელში — 99,6 პროცენტით.

სახელმწიფო ვაჭრობამ საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 99 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციამ — 95 პროცენტით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს 96 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა — 97 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებმა — 102 პროცენტით და ქალაქ თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებმა 99,2 პროცენტით.

ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაყიდულია 1963 წლის I ნახევარში პროცენტობით 1962 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ხორცი, ძეხვეული და სხვა ხორცპროდუქტები	102
ერმო-კარაქი	96
მცენარეული ზეთი	113
რძე და რძის პროდუქტები	104
ყველი	100,8
კვერცხი	107
შაქარი	102
საკონდიტრო ნაწარმი	107
ბოსტნეული	100
ნაყოფი, ხილი, კენკრა და ბაღჩეული	83
ბამბის ქსოვილები	96
შალის ქსოვილები და თავსაფრები	97
აბრეშუმის ქსოვილები	107
შეკერილი საქონელი	99,9
ტრიკოტაჟის ნაწარმი	105
წინდები	104
ტყავის ფეხსაცმელი	105
ფაიფურ-ქამანურის ჭურჭელი	109
ავეჯი	105
საკერავი მანქანები	122
საათები	100
ველოსიპედები და მოტოციკლები	92
რადიატორები	109

1963 წლის პირველ ნახევარში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოსახლეობისათვის მისაყიდად გაგზავნილია მეტი ელექტრომტვერსასრუტი, სარეცხი მანქანა, მოტოციკლი და მოტოროლერი, პიანინო, რადიომიმღები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საქონელი.

მოსახლეობის მოთხოვნა ზოგიერთ საქონელზე სრულად არ კმაყოფილდებოდა. ბევრი სამრეწველო საწარმო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა სახალხო მოხმარების საგნების ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას.

მიღწეულია შემდგომი წარმატებანი სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

სკოლის კანონის შესაბამისად ახლა ყველგან განხორციელებულია საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიან სწავლებაზე გადასვლა.

დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების, მათ შორის მეშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და დაესწრებელი სკოლების მოსწავლეთა რიცხვმა წელს 800 ათასს გადააჭარბა, ანუ 57 ათასი კაცით მეტია, ვიდრე გასულ წელს იყო.

1963 წელს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დაამთავრა და საშუალო განათლების ატესტატი მიიღო 14 ათასზე მეტმა კაცმა.

ფართოვდება სკოლა-ინტერნატებისა და საწარმოო სწავლების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის ქსელი. 1962-63 სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში იყო 66 სკოლა-ინტერნატი, რომლებშიც სწავლობდა 19 ათასი კაცი, 127 სკოლა გახანგრძლივებული დღის ჯგუფებით, სადაც სწავლობდა 6,5 ათასი კაცი და 1.074 სკოლა, რომლებშიც საწარმოო სწავლას გადის საშუალო სკოლების IX-XI კლასების 69 ათასი მოსწავლე.

მიმდინარე წელს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები გამოუშვებენ 14 ათას სპეციალისტს.

სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში იყო 185 ხალეცნიერო დაწესებულება. მეცნიერ მუშაკთა დაკანონიერ პედაგოგთა რიცხვი შეადგენს 12 ათასს, აქედან 506 — მეცნიერებათა დოქტორია, 3 ათასზე მეტი — მეცნიერებათა კანდიდატი.

1963 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის თეატრებში წარმოდგენებს დაესწრო 1,8 მილიონ კაცზე მეტი, ხოლო კინოთეატრებში იყო 19,5 მილიონზე მეტი კაცი.

ფართოდ განვითარდა მასობრივი ხალხური შემოქმედება. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებში იყო 113 ათასზე მეტი კაცი. ხორციელდებოდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება. გადიდდა საწოლების რიცხვი საავადმყოფოებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, გაიზარდა ოგრეთვე ადგილების რიცხვი სამკვნო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში.

მნიშვნელოვანი ოდენობით ხორციელდებოდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრებით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 225 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. შესრულებული არ არის საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ნახევარი წლის გეგმა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკაში აშენდა ახალი სკოლები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები, მაგრამ არ არის შესრულებული ამ ობიექტების მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა.

• • •

შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი ნახევრის შედეგები მოწმობს რომ წარმატებით ხორციელდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

კინოფესტივალი თბილისში

ბუშინ, 28 ივლისს სპორტის სასახლეში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ კინოხელოვნების მოყვარულები ხვდებოდნენ მოსკოვის მესამე საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს. დარბაზში შემოდიან საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის კვიპროსის კინემატოგრაფისტთა ჯგუფი.

საქართველოს კინომუშაკთა სახელით ფესტივალის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა რეჟისორმა სიკო დოლიძემ.

თბილისელ მაყურებლებს გულთბილად მიესალმნენ კინომსახიობები ლეა მასარი (იტალია) და ბეატა ტიშკევიჩი (პოლონეთი).

ამ დღეს მაყურებელმა ნახა პოლონური ფილმი „როგორ უნდა შეაყვარო თავი“ და უნგრული — „მბარებელში ნაამბობი“.

კინოხელოვნების ოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს მოსკოვის III საერთაშორისო ფესტივალს, რომელიც გადაიქცა მსოფლიო კინოხელოვნების ზეიმად. ფესტივალის დახურვის შემდეგ მოსი მონაწილეები გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში — ლენინგრადში, კიევში, მინსკში, თბილისში, სადაც აგრძელებენ თავიანთ ფესტივალს. აქ ისინი ფართო მაყურებელს გააცნობენ მოსკოვში წარმოდგენილ საუკეთესო ფილმებს, შეხვდებიან ამ ქალაქების კინემატოგრაფისტებს, გამართავენ დისპუტებს, სადაც გაუზიარებენ ერთმანეთს შემოქმედებით გეგმებს.

ფესტივალის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ამ დღეებში ჩვენს ქალაქს ეწვია. ესენი არიან — რუმინელი ამხანაგები რეჟისორი **პოპესკუ-გოპო** მეუღლითურთ, უნგრეთიდან — რეჟისორი ფილმისა „მატრიტელში ნაამბობი“ **ტომაშ რენი,** ჟურნალისტი **დიერდ შაში** და კინომოღვაწე **ხედა ხარაშტი;** პოლონეთიდან — კინომსახიობი **ბეატა ტიშკევიჩი** და **მიხალისკი;** იტალიიდან — კინომსახიობი **მოლ ულრეია** და **ლეა მასარი,** აგრეთვე კინემატოგრაფისტთა წარმომადგენლები საბერძნეთიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ბულგარეთიდან, კვიპროსიდან.

საქართველოს კინომუშაკებმა — დრამატურგებმა, რეჟისორებმა, მსახიობებმა, ოპერატორებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სტუმრად ჩამოსულ კოლეგებს. ფესტივალის მონაწილეებმა უკვე დაათვალიერეს ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, გუშინ კი სპორტის სასახლეში მოეწყო ფესტივალის საზეიმო გახსნა. აქ 23-დან 28 ივლისამდე თბილისელები ნახავენ შემდეგ მხატვრულ, სრულმეტრაჟიან ფილმებს — **„ხელები“** (საბერძნეთი), **„თამბაქო“** (ბულგარეთი), **„სიყვარულს სწავლა უნდა“** (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), **„ქორწინების მარწუხებში“** (ინდოეთი) — ამ ფილმში ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ვერცხლის პრიზით დაჯილდოებულია მსახიობი **სუხატრა სენი; „სიკვდილის გზა“** (ირანი), **„ორმოცი წელი საქმროდ“** (არგენტინა); **„მატარებელში ნაამბობი“** (უნგრეთი), რომელმაც ფესტივალზე ვერცხლის პრიზი დაიმსახურა; **„როგორ უნდა შეაყვარო თავი“** (პოლონეთი), **„სწრაფვა“** (ჩეხოსლოვაკია), **„ცაზე არ არის დაბრკოლება“** (რუმინეთი). მოკლემეტრაჟიანი ფილმებიდან ნაჩვენები იქნება მულტიპლიკაციური ფილმი **„ალო, ალო“** (რუმინეთი), **„ფეხბურთის მატჩი“** (ბულგარეთი), **„ბოშები“** (უნგრეთი), **„მარტი, აპრილი“** (საბჭოთა კავშირი).

„კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა ფესტივალის მონაწილეებს. ქვემოთ ვაქვეყნებთ მათთან საუბარს

პოპესკუ-გოპო

კინორეჟისორი (რუმინეთი)

მე უკვე მეორედ მივიღე მონაწილეობა მოსკოვში გამართულ კინოფესტივალში. III საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით „კინოხელოვნების ჰუმანიზმი, ხალხთა შორის მეგობრობა და მშვიდობა“, იყო ყველაზე ფართო, ყველაზე ავტორიტეტული ადგილი მეგობრული შეხვედრებისა, შემოქმედებითი შეფასებისა და იდეურ-მხატვრული დისკუსიებისა.

მოსკოვის ფესტივალი მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივაც, რომ აქ მონაწილეობა მიიღეს 59 ქვეყნის კინემატოგრაფისტებმა და წარმოადგინეს თავიანთი საუკეთესო ფილმები — 33 მხატვრული და რამდენიმე ათეული მოკლემეტრაჟიანი ფილმი. მე ჟურის წევრი ვიყავი და ვხედავდი, როგორ უძნელდებოდათ ჩემს კოლეგებს რომელი ფილმისათვის მიენიჭებინათ უპირატესობა, იმდენი საუკეთესო კინოსურათი იბრძოდა კონკურსში.

თბილისში პირველად ვარ. თქვენი მაყურებელი იცნობს ზოგიერთ ჩემს ფილმს. ესენია სრულმეტრაჟიანი მხატვრული კინოსურათი „ბობი მოიტაცეს“ და მულტიპლიკაციური ფილმები — „შვიდი ხელოვნება“, „ჰომო — საპიენს“, ამჟამად კი ვიმუშავებ ახალ ფილმზე „ალო, ალო“.

ჩემთვის სასიხარულო იქნება, თუ საშუალება მომეცემა ახლოს გავეცნო ქართველ მულტიპლიკატორთა ნამუშევრებს, დავუახლოვდე ამ დარგის მოღვაწეებს.

ლეა მასარი

კინომსახიობი (იტალია)

მოსკოვის მესამე საერთაშორისო ფესტივალი კინემატოგრაფისტთა დიდი ფორუმი იყო. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს აქ მოგვეცა საშუალება ახლოს გაგვეცნო ერთმანეთის ხელოვნება, გვესაუბრა, ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა შემოქმედებითი გეგმები. ყოველი ასეთი შეხვედრა დაგვეხმარება ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

საბჭოთა კავშირში პირველად ვარ, პირველად ვარ აგრეთვე თბილისში. მოსკოვში გავიცანი ქართველი მსახიობები და რეჟისორები. ჩემთვის დიდად სასიხარულოა, რომ თქვენს ქალაქში წარმატება ჰქონია ფილმს „ჟურნალისტი რომიდან“, სადაც მე მთავარ როლს ვასრულებ.

• • •

ბიათურა. აქ ექსპლოატაციაში გადაეცა კიდევ ერთი ახალი სამგზავრო სადგური, რომელიც დაუკავშირებს ცენტრს ქალაქის ჩრდილოეთ დასახლებასთან.

• • •

სურათზე: ახალი სამგზავრო სადგური გზის ქვედა სადგური.

ფოტო ა. მაკავარიანისა.

(საქმდესის ფოტოქრონიკა).

სურათზე: მოსკოვის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილენი და სტუმრები თბილისში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სამდივნოს განცხადება

დელი, 22 ივლისი. (საკდესი). განცხადებაში პრესისათვის ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სამდივნო აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის და წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც მეგობრობისა და ამხანაგობის სულისკვეთებით აღნიშნულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის სერიოზული შეცდომები.

„ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სამდივნო, — ნათქვამია განცხადებაში, — საგანგებოდ იწონებს ღია წერილში ჩამოყალიბებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიციას ძირითად საკითხებში, რომლებმაც უთანხმოებანი გამოიწვია საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას შორის“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ინდოეთის კომუნისტური პარტიის პოზიცია ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის ომისა და მშვიდობის საკითხი, მსოფლიო სოციალისტური სისტემის როლისა და განვითარების, პიროვნების კულტის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის, მსოფლიო პროლეტარული მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხები, სავსებით ემთხვევა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიციას.

„ინდოელი კომუნისტები, — აღნიშნულია განცხადებაში, — სასტიკად გმობენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ცდებს დათესონ ეროვნული შუღლი და ამით გათიშეს შეტანონ საერთაშორისო მოძრაობაში მშვიდობისა და სოციალიზმისათვის“.

ბაკმილანი: პირველი ნაბიჯი დაძაბულობის შემცირების გზაზე

ლონდონი, 23 ივლისი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა სპასუხო დებატში აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს, რომ იზიარებს მის იმედს, რომ წარმატებით დამთავრდება აზრთა გაზიარება სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შორის მოსკოვში. „იმედი მაქვს, — ხაზგასმით აღნიშნა მაკმილანმა, — რომ შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საერთო განიარაღების გზაზე“.

ახალი გზარი კოლონიალიზმის წინააღმდეგ

ლონდონი, 23 ივლისი. (საკდესი). ბრიტანეთის გონდურასი მიიღებს სამინო თვითმმართველობას 1964 წლის 1 იანვრიდან — ასეთია შედეგი იმ მოლაპარაკებისა ბრიტანეთის გონდურასის კონსტიტუციური წყობის საკითხის შესახებ, რომელიც გუშინ დამთავრდა ლონდონში.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა „უნენის“ ფურცლებზე

ულან-ბატორი, 17 ივლისი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთმა „უნენმა“ დღეს გამოაქვეყნა სრული ტექსტი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1963 წლის 21 ივნისს — „მარქსიზმ-ლენინიზმი ჩვენი დროშა, ჩვენი საბრძოლო იარაღია“.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ დაიწყო უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მოწვეულია აფრიკის 32 სახელმწიფოს მოთხოვნით რათა განიხილონ საკითხი პორტუგალიის გამგებლობაში მყოფ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის შესახებ და საკითხი აპარტეიდის პოლიტიკის შესახებ, რასაც ახორციელებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა.

ლიბერიის სახელმწიფო მდივანმა რუდოლფსგრაინსმა და ტუნისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა მონეი სლიმმა, რომლებიც უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფრიკის ოცდათორმეტი სახელმწიფოს სახელით გამოვიდნენ, უშიშროების საბჭოს მოსთხოვეს მიიღოს გადამჭრელი ღონისძიებანი იმისათვის, რომ აიძულოს პორტუგალია შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია და უშიშროების საბჭოს წინა გადაწყვეტილებანი პორტუგალიის კოლონიების შესახებ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პორტუგალიის კოლონიებში არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის მშვიდობას და უშიშროებას აფრიკაში, და რომ აფრიკის სახელმწიფოებს არ სურთ ამ მდგომარეობის გაუარესების გულგრილი მეთვალყურენი დარჩნენ.

უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომა 23 ივლისს გაიმართა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

როსტოკიდან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) წელს მეცხრე რეისში გავიდა მცურავი პროფკავშირული დასასვენებელი სახლი — თბომავალი „ფრიც ჰეკერტი“. მან კურსი აიღო პოლონეთის გდინიას ნავსადგურისაკენ. გემზე მყოფი 380 მგზავრი ეწვევა აგრეთვე რიგასა და ლენინგრადს. მეორე თბომავალი „ფელკერფრონდშაფტი“, რომელიც აგრეთვე პროფკავშირული დასასვენებელი სახლია, 23 ივლისს კურსს ჩრდილოეთისაკენ აიღებს. 550 კაცი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის მშრომელები — სტუმრად ეწვევა საბჭოთა მურმანსკის მცხოვრებლებს.

კონგოს პრემიერ-მინისტრი სირილ ადულა ოფიციალურ ვიზიტად გაფრინდა ინგლისში. ლონდონში ადულა მოელაპარაკება ინგლისის პრემიერ-მინისტრ მაკმილანს, საგარეო საქმეთა მინისტრ ჰიუმსა და სხვა ოფიციალურ პირებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების შტატების უფროსის მოადგილე ადმირალი რიკეტსი ჩავიდა ლონდონში იმისათვის, რომ მოელაპარაკოს პარლამენტის წევრებსა და ზოგიერთი სამხედრო დაწესებულების ხელმძღვანელებს. რიკეტსი აქტიური მომხრეა იმ ამერიკული გეგმისა, რომ ნატოს წყალზედა ფლოტი აღიჭურვოს „პოლარისის“ რაკეტებით. მან ლონდონის აეროპორტში კორესპონდენტებს განუცხადა: ჩემი მოლაპარაკება ძირითადად მიეძღვნება სამხედრო-საზღვაო ძალების სხვადასხვა პრობლემას დღევანდელ მსოფლიოში და მათს როლს მომავალში.

ატლანტიკაში ნორფოლკიდან (ვირგინიის შტატი) 200 მილზე ნორვეგიის ტანკერი დაეჯახა ამერიკის გემს, რომელიც დატვირთული იყო ავტომობილებით. დაჯახების შედეგად ტანკერი ძლიერ დაზიანდა და ნელნელა დაიწყო ჩაძირვა. ტანკერის ეკიპაჟი აიყვანეს ამერიკის გემზე, რომელიც უმნიშვნელოდ დაზიანდა.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ელექტროენერგიის კომისიაში

პრაღა 23 ივლისი. (საკდესი). 18 ივლისიდან 22 ივლისამდე ბრატისლავაში მიმდინარეობდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ელექტროენერგიის კომისიის სხდომა. იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა.

დაძაგული მდგომარეობა ჰაიტიში

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). ჰაიტიში კვლავ დაძაბული საშინაო პოლიტიკური მდგომარეობაა.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, პორტ-ო-რენსის მახლობლად მოხდა შეიარაღებული შეტაკება მთავრობის ჯარებსა და პრეზიდენტ დიუვალიეს მოწინააღმდეგეებს შორის.

აჯანყებულებმა უკან დაიხიეს მორნლა-სელის მთებში.

განაჩენი გამოუცხადეს ჯალათს

ბერლინი, 23 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ განიხილა დასავლეთ გერმანიის კანცლერის უწყების ახლანდელი სახელმწიფო მდივნის ჰანს გლობკეს საქმე და უმძიმეს სამხედრო დანაშაულთა და ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულთა ჩადენისათვის მიუსაჯა სამუდამო კატორღა.

„გალეას თასის“ გათამაშება

„გალეას თასის“ გათამაშება ჩოგბურთში ჭაბუკთათვის ტრადიციული ასპარეზობა გახდა და აღიარებულია ევროპის არაოფიციალურ ჩემპიონატად. მეექვსეჯერ გამოდიან ამ შეჯიბრებაზე საბჭოთა სპორტსმენები. განვლილ ხუთ ტურნირში მათ სამჯერ მოიპოვეს მეორე საპრიზო ადგილი.

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ცვლილებები არ მომხდარა. მის რიგებში არიან თბილისელები ა. მეტრეველი და ნ. მძინარიშვილი, აგრეთვე რიგელი ა. იუშკა. ისინი უკვე გემგზავრნენ ვენაში. ხვალ ავსტრიის პატარა ქალაქ კრემსში დაიწყება თასის გათამაშების ზონალური ტურნირი.

„გალეას თასზე“

დიდი ოლიმპიადის წინ

ტოკიოს ფინალურ ასპარეზობაში 26 მონაწილე იქნება. ორი მათგანი უკვე ცნობილია: იუგოსლავიისა (როგორც ოლიმპიური ჩემპიონი) და იაპონიის (როგორც შეჯიბრების ჩამტარებელი ქვეყანა) ნაკრებები. მაგრამ ვინ იქნებიან დანარჩენი მონაწილეები?! ეს საკითხი ხანგრძლივი შესარჩევი თამაშების შემდეგ ნათელი უნდა გახდეს.

ოლიმპიური ჩემპიონები იუგოსლავიელები ახლაც მიაჩნიათ პირველი ადგილის ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტებად საბჭოთა, უნგრელ, ბულგარელ და ჩეხოსლოვაკიელ ფეხბურთელებთან ერთად.

ოლიმპიადის მასპინძლები — იაპონელი ფეხბურთელები უკვე რამდენიმე წელია ემზადებიან. ამ მიზნით ისინი უკვე მეორედ ჩამოვიდნენ ევროპაში. მაგრამ მათი ახლანდელი ტურნეც ისევე მარცხიანად მიმდინარეობს, როგორც პირველი. ამჟამად იაპონელები წვრთნას გადიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მაგრამ ვერ უმკლავდებიან ადგილობრივ კლუბებს. იაპონელებს კონსულტაციას უწევს ცნობილი მწვრთნელი ზ. ჰერბერგერი.

ქვლავ ჩეხოსლოვაკიელები

იუგოსლავიის ქ. ბუდვაში დამთავრდა სტუდენტ მოჭადრაკეთა ოლიმპიადა, ანუ მსოფლიოს პირველობის გათამაშება ჭადრაკში.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა ჩინებულად ითამაშეს, თვალსაჩინოდ გაუსწრეს მეტოქეებს და მეორეჯერ მოიპოვეს ჩემპიონობა. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს იუგოსლავიისა და ბულგარეთის მოჭადრაკეთა კოლექტივებმა. საბჭოთა გუნდმა.

ლოს-ანჟელოსის ტურნირზე

ლოს-ანჟელოსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-12 ტურში მ. ნაიდორფმა დაამარცხა პ. კერესი. ტ. პეტროსიანის მძიფრი ბრძოლა ფ. ოლაფსონთან ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა ს. გლიგორიჩ - ს. რუბინსკის პარტია. პ. ბენკოსა და ო. პანოს პარტია გადაიდო.

ფინიშის წინ ფ. ოლაფსონს 7 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ტ. პეტროსიანს — 7 ქულა.

სპორტული ქრონიკა

● **გდანსკის** საფარიკაო ბილიკებზე გრძელდება მსოფლიოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. რაპარიტეტთა პირად პაექრობაში ჩვენს სპორტსმენებს წარმატება არ ჰქონიათ. მაგრამ აი დაიწყო გუნდური პაექრობა, და გამარჯვებას გამარჯვება მოპყვა. ჩვენმა ქალებმა ფინალში დაამარცხეს უნგრელი მოფარიკაველები 9:4, ვაჟებმა კი ჩხვლეტის საერთო რაოდენობით მოუგეს პოლონელებს და მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

● **კოპენჰაგენის** ნიჩბოსანთა (ბაიდარი, კანოე) საერთაშორისო რეგატი საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობით სეზონის ერთ-ერთი მასობრივი და მიმზიდველი ასპარეზობა იყო. ჩვენმა სპორტსმენებმა 11 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

● **თბილისში** წარუმატებლობის შემდეგ იაპონელი კლასიკური მოჭიდავეები ბათუმს ეწვივნენ და აქ გამართეს მორიგი საერთაშორისო მატჩი საქართველოს გუნდთან. მართალია, ამ შეხვედრაში სტუმრებმა დიდი მონდომება გამოიჩინეს, მაგრამ ბრძოლა მაინც წააგეს 3:5. საქართველოს მოჭიდავეებიდან გამარჯვეს რ. აბაშიძემ და ვ. ხანდოლიშვილმა. ოთხი შეხვედრის შედეგი იყო ფრე, ერთში გაიმარჯვეს იაპონელებმა. მძიმე წონაში კი მათ მოჭიდავე არ გამოუყვანიათ.

ორი ლიდერი

ჰალეში გადამწყვეტ ფაზაში შედის მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური საჭადრაკო ტურნირის გათამაშება.

დანიელმა გროსმაისტერმა ლარსენმა, რომელმაც პირველ ტურშივე წაგო ჰაბუკ თანამემამულე ჰამანთან, შემდეგ ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის გროსმაისტერებთან დონერთან (ჰოლანდია) და რობაჩთან (ავსტრია). იგი საზონთაშორისო ტურნირში გასვლას რეალური პრეტენდენტია.

წარმატებით თამაშობს აგრეთვე უნგრეთის ჩემპიონი გროსმაისტერი პორტიში. გადადებული პარტიების წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი დაეწია ლარსენს. ახლა ლარსენი და პორტიში 8,5 ქულით 12 შესაძლებლიდან პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ. მესამე ადგილზეა ავსტრიის ჩემპიონი რობაჩი (8 ქულა).

მწყემსმა იმარჯვა

ალმატის კრმეურნეობის (ყვარლის რაიონი) მეძროხე ლაზო ბაწილაშვილი ხის ჩრდილში ისვენებდა. უცბათ ხეივნიდან ხმაური მოესმა, ფეხზე წამოდგა და სმენად იქცა. ბილიკზე მგელი გამოჩნდა, რომელიც მეზობელი კრმეურნეობის ფაირიან მოტაცებულ ცხვარს მიათრევდა. მწყემსი მოხერხებულ ადგილს ჩასაფრდა, ნადირი ნიმაზში ამოიღო და თოფის პირველი გასროლით მოკლა. ბაწილაშვილმა მგლის მოკვლისათვის 55 მანეთი ჯილდო მიიღო.

ს. ხირსონელი.

ფერფილი ნაჭრილობევის ნაცვლად

ფრინგიანა ანატოლი კ-ვი 30 წლისაც არ არის, მაგრამ ფრენა არ შეუძლია. ეს არც საავიაციო კატასტროფის შედეგია და არც მძიმე ფიზიკური ტრავმისა. რამდენიმე წელია მას განუწყვეტლივ სტანჯავს თავის ტკივილი, რომელსაც მხოლოდ მოკლე ხნით უამებს გულმოდგინე მკურნალობა.

ექიმები სთავაზობენ რადიკალურ საშუალებას — ოპერაციას, შუბლის ძვლის ნაწილის მტკივნეულ მოშორებას. მაგრამ ამის გადაწყვეტა მფრინავის პროფესიული გამმედაროობითაც კი ძნელია. გარდა ამისა, ვერსთვის არის სასიამოვნო ასეზე ატარებდეს ქირურგიული ჩარევის მუდმივ მოგონებას — დიდ ღრმელს თვალს ზემოთ?

სხვა ვერაფერი ვერ გაკეთდებაო, ასე მიაჩნდათ ექიმებს ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ. მათ ეგონათ, რომ ოპერაცია ფრონტტთან — შუბლის წიაღის დაავადებასთან ბრძოლის ერთადერთი გზაა.

1956 წელს ექიმმა მარიამ ანტონიუკმა ცნობილი საბჭოთა ოტოლარინგოლოგის პროფესორ ბორის პრეობრაჟენსკის წინადადებით საკანდიდატო დისერტაციის თემად აიღო „ფრონტიტების დიაგნოსტიკა და მკურნალობა“. მოეწახა ნაკლებად მტკივნეული, მინიმალური ტრავმის გამომწვევი მკურნალობა — სწორედ ასეთი იდეა დაუდო მან საფუძვლად თავის შრომას. კლინიკური მუშაობის გამოცდილება დაეხმარა იმაში, რომ მოეხახა ორიგინალური გზა — ტრეპანოპუნქცია.

ფრონტტიტის დროს ინფექცია, შუბლის წიაღში რომ მოხვდება, მავნე ნივთიერებებს ქმნის. სწორედ ისინი იწვევენ თავის ძლიერ ტკივილს. საჭიროა ამ ნივთიერებების მოშორება. წინააღმდეგ შემთხვევაში ინფექციამ შეიძლება შეაღწიოს მეზობლად — ტვინში.

და აი ექიმის წინაშე დგას ახალი ამოცანა — შექმნას ხელსაწყო, რომლითაც შეიძლება ადვილად და უხიფათოდ განხორციელდეს ტრეპანოპუნქცია. გამკვეთი სატეხისა და ხის ჩაქეჩის ნაცვლად ხელსაწყოს უნდა ჰქონდეს ნემს-ბურღი და საჭრელი მოწყობილობა. აქ ექიმი წმინდა კონსტრუქციულ სიძნელეებს წააწყდა. მას ინჟინერი ევგენი ბავლოვი დაეხმარა. თვითქმის ორი წლის განმავლობაში იგონებდნენ ისინი ხელსაწყოს, გადაკეთებდნენ ხოლმე, სრულყოფდნენ, ცდიდნენ, იწუნებდნენ და, ბოლოს, შექმნეს საცდელი ნიმუში.

იგი საკმაოდ მარტივია. ცილინდრულ კორპუსშია საჭრელი და წვრილი ბურღი. სახელურის ტრიალით ექიმი ჭრის რბილქსოვილებს და თვალის დახმახამებაში ბურღავს ძვალს, შეაღწევს შუბლის წიაღში. დამცავი ზღუდავს ამ მოძრაობას შუბლის ძვლის სისქის მიხედვით, რაც გამორკვეულია რენტგენით.

იქმნება ვიწრო ნახვრეტი, სულ ორნახევარი მილიმეტრი დიამეტრისა. ამ ხვრელიდან ამოაქვთ მავნე ნივთიერებანი. მათი ანალიზი ეჩვენებს ექიმს დაავადების ხასიათსა და თავისებურებებს, საშუალებას აძლევს დაადგინოს ზუსტი დიაგნოზი, რაც მეტად ძნელია ფრონტტიტის დროს. შემდეგ კი შეჰყავს სხვადასხვა წამლები და ანტიბიოტიკები და სპობს ავადმყოფობას.

მარიამ ანტონიუკმა ზედმიწევნით დეტალურად შეიმუშავა ახალი ხელსაწყოს გამოყენების ტექნოლოგია. როგორც წესი, საკმარისია რამდენიმე დღე, რომ ავადმყოფი მრავალი წლის სენისაგან განიკურნოს. ადამიანის შუბლი დაქსელილია სხვადასხვა სისხლძარღვებით, მრავალი ნერვით. ყველაზე ნაკლებად სახიფათო სად იქნება ტრეპანოპუნქციის განხორციელება? დაკვირვებული ანატომიური კვლევა, გულდასმით გაანგარიშება... და აი მიგნებულია ერთადერთი, ტრავმის ყველაზე ნაკლებად გამომწვევი წერტილი, შექმნილია მისი განსაზღვრის ხერხი.

მარიამ ანტონიუკის მეთოდმა ტრეპანოპუნქციის მისი მარჯვე ტექნიკით, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად გამოირკვეს დაავადების ხასიათი, გამოყენებულ იქნას ფრიად მრავალმხრივი მკურნალობა, დაანტერესა ბევრი ექიმი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

შვეიციიდან და ბრაზილიიდან, უნგრეთიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მოდის წერილები, რომლებშიც დაბეჯითებით სთხოვენ უფრო დაწვრილებით აწეროს ახალი, პერსპექტიული მეთოდი. დედაქალაქში ჩამოდიან ავადმყოფები, და მარიამ ანტონიუკი ჯანმრთელობას უბრუნებს მათ. მათმა რაცხვმა ორ ასეულს გადაამეტა.

მარიამ ანტონიუკის ხერხს კიდევ ერთი უდავო უპირატესობა აქვს — არ ტოვებს კოსმეტიკურ ტრავმას. ოდნავ შესამჩნევი წერტილი, რომელიც მალე ქრება, ოპერატიული ჩარევის ერთადერთი მოგონებაა.

ხელსაწყო ექსპონირებული იყო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში და დიდი ვერცხლის მედალი მიეკუთვნა. მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა, ამ ხელსაწყოს კი ჩვენი ქვეყნის ბევრ კლინიკაში ნახავთ.

ელეონორა გორბუნოვა,

სააგენტო „ახალი ამბები“.

სასამართლოს დარგაზიდან

გარეწარს — დასვრეტა

რამდენჯერმე ნასამართლევმა სერგო გრიგოლისძე კოლოშვილმა ზუგდიდში ახალი საზარელი ამბავი დაატრიალა — ვერაგულად მოკლა ქალიშვილი ს. გუგუნია.

მკვლელი მიიმალა. ბოროტმოქმედმა რამდენიმე დღის შემდეგ წალენჯიხის ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში ამოჩყო თავი.

— რა ალმაცერად მიყურებ... ვთქვი და ასრულდება! — დაჰკივლა ს. კოლოშვილმა რ. კლიმოვას, რომლის გაუპატიურებაც განიზრახა. გამხეცებულმა ბოროტმოქმედმა დანით მოკლა დედა-შვილი რ. კლიმოვა და მ. ბლიჩკოვა.

გარეწარმა კვლავ სცადა მიმალვა, მაგრამ ამაოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. ტ. ბუბაშვილის თავმჯდომარეობით მკვლელ ს. გ. კოლოშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა.

განაჩენი ს. გ. კოლოშვილის მიმართ სისრულეშია მოყვანილი.

კ. კპარაციხელი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ფილმოთეკა

24 ივლისი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — საუბარი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე, 18.35 — კიბოჟურნალი „სოფლის მეურნეობის ახალი ამბები“ №5, 18.55 — გადაცემა — „ყვავილელ ახალგაზრდებთან“, 19.15 — კიბოჟურნალი — „უცხოეთის კინოქრონიკა № 12, 19.25 — გადაცემა — „სანდრო შანშიაშვილი“, 20.00 — კინოჟურნალი — „ფიტილი“ № 10. 20.10 — „მუსიკის სამყაროში“, 21.00 — მხატვრული ფილმი — „საღამოს წვეულება“, 22.40 — ახალი ამბები.

24 ივლისი

კინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო) **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი, საქართველო** (საზაფხულო), **უაზბეგი** (მეორე დარბაზი) — ხელშეუხლებელი, **ფილარმონიის ბავდი** — სამი მუშკეტერი (I და II სერია), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კოსმოსი** — სამი მუშკეტერი (II სერია), **26 კომისრის სახელობისა** (მეორე დარბაზი), **სპარტაკი** — უცოლო კაცის ცხოვრება, **თბილისი** — ორი ბატონი № **თანამგზავრი, 26 კომისრის სახელობისა** (პირველი დარბაზი) — მეთექვსმეტე გაზაფხული, **კომკავშირელი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — მერძევე ჰილია, **კოლხიდა** (საზამთრო) — ანსელმის დაღუპვა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — იდიოტი, **ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ნაკადული** — ღალატის შიშით, **ოფიცერთა სახლი** — ფესტივალი, **მძღვანელი** რსდმპ მე-2 ყოფილობის მე-60 წლისთავისად